საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 36 31/07/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმის, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემის საწყისი წლიური ფასისა და აუქციონის პირობების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, განთავსების წესის, სანებართვო მოწმობისა ტიპური ფორმისა და რეესტრის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 სექტემბრის №49 დადგენილების დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-6 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის);

2. დამტკიცდეს გარე რეკლამის განთავსების გეგმით განსაზღვრულ გარე რეკლამის განსათავსებელ №1 ადგილზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი წლიური ფასი და აუქციონის პირობები დანართი №2-ის შესაბამისად (დანართი №2 თან ერთვის);

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე